პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (9946) | სამშაბათი, 20 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი (1-ლი გვერდი).

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვში (1-ლი გვერდი).

**რ. ემელიანოვა, ა. ზამჩი და სხვები.** — ჩამოდით, ქალიშვილებო, ჩვენთან, ყამირ მიწებზე! — მარინოვკის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელ ქალთა წერილი. (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიური ურთიერთობისათვის (მე-2 გვერდი).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.** — სოფლის მოსახლეობის [illegible] იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება თვითდაბეგვრის თანხები გურჯაანისა და მახარაძის რაიონებ[illegible] (მე-2 გვერდი).

ქალაქ თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება (მე-2 გვერდი).

**ზ. ჰოჰუა.** — ოქუმი დღეს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეს, რომელიც პოლიტიკურ და სამეურნეო დარგში მათი ავანგარდული როლის გაძლიერების გადამწყვეტი პირობაა. ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის, სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. წინა წლებთან შედარებით სწავლება გაცილებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობდა. პოლიტსკოლებში, წრეებში, საღამოს პარტიულ სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში იდეურ-პოლიტიკურ ცოდნას იმაღლებდა 128 ათასზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი; ერთიორად გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების რიცხვი.

მეტი წილი პოლიტსკოლებისა და წრეებისათვის სწორად, გულდასმით შერჩეულ იქნენ პროპაგანდისტები, რომლებმაც ღრმად განუმარტეს მსმენელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლილი ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი გზა, პარტიული ცხოვრების ნორმები და ხელმძღვანელობის პრინციპები, რომლებიც დიდმა ლენინმა შეიმუშავა, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის არსი, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

პოლიტსკოლების, წრეების, სემინარებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის შექმნილი იყო ყველა პირობა მეცადინეობის მაღალი იდეური დონის უზრუნველსაყოფად.

ცნობილია, რომ წრეებისა და პოლიტსკოლებისადმი დახმარების ძირითადი ფორმაა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები. მათს მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობის ხარისხი. პარტიის თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ჭიათურის, რუსთავის, სტალინირის, მცხეთის, თელავის და სხვა საქალაქო და რაიონული კომიტეტები მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და მზრუნველობას იჩენდნენ პროპაგანდისტთა კადრების აღზრდისათვის.

მაგრამ პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციასა და შინაარსში სასწავლო წლის მანძილზე არსებით ნაკლოვანებებსაც ვხვდებოდით. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არღვევდა ნებაყოფლობის პრინციპს, გამოედევნა პოლიტსკოლებისა და წრეების რაოდენობას, არ ითვალისწინებდა პროპაგანდისტთა კადრების ხარისხს. მარტო სამხრეთ ოსეთში, არასწორად დაკომპლექტების გამო, დაშლილ იქნა 83 პოლიტსკოლა და წრე, 2 საღამოს პარტიული სკოლა და 4 მუდმივმოქმედი თეორიული სემინარი. ბორჯომის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 18 წრე შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა კომიტეტმა ვერ შეძლო შეერჩია კვალიფიციური პროპაგანდისტები, სასწავლო წლის პერიოდში წრეები მუშაობას განაგრძობდნენ. სწავლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელი იყო. ამასთანავე წრეების დაკომპლექტების დროს დაარღვიეს ნებაყოფლობის პრინციპი, არ ითვალისწინებდნენ მსმენელთა სურვილს. პროპაგანდისტთა კადრებთან არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ ქობულეთის, ბორჯომის, გარდაბნის, მარნეულის და სხვა რაიონული კომიტეტები. ქობულეთის პარტიულ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა ეწყობოდა მას შემდეგ, რაც ეს თემები პოლიტსკოლებსა და წრეებში გავლილი ჰქონდათ.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა ლექციური პროპაგანდის დარგში. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისა და პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის სისტემატურად იკითხებოდა ლექციები და მოხსენებები პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის საკითხებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის, მახარაძის, ამბროლაურის, ტყიბულისა და სხვა რაიკომების ლექტორთა ჯგუფებმა. მაგრამ ლექციური პროპაგანდის დაყენებაში არსებითი ნაკლოვანებებია პარტიის ლენინგორის, ჯავის და ცხაკაიას რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებში.

ახლა, როცა ფართოდ გაიშალა მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მეტად სერიოზული ამოცანებია დასახული. არ უნდა გამეორდეს გასული წლის შეცდომები. პოლიტსკოლების და წრეების დაკომპლექტების დროს მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ ნებაყოფლობის პრინციპით. კომუნისტმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს სწავლების რომელ ფორმაში სურს აიმაღლოს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვობრივი ზრდა და პოლიტსკოლებისა და წრეების შემცირება დიდ საშუალებას გვაძლევს გულდასმით შევარჩიოთ პროპაგანდისტთა, ლექტორთა და კონსულტანტთა კადრები. პროპაგანდისტებისათვის სისტემატურად უნდა მოვაწყოთ ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, ყოველნაირად ვიზრუნოთ, რათა ხელი შევუწყოთ მათს იდეურ-პოლიტიკურ ზრდას. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ზაფხულის პერიოდი, რათა მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი

19 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი.

## ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვში

ფიზკულტურელის საკავშირო დღე ახალგაზრდობის, ძალისა და სიჯანსაღის დღესასწაულია. ამ დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, სტადიონებზე, სასპორტო მოედნებზე წყალჯომარდობის სადგურებში მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი ცხადყოფს თავის მიღწევებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

წარმტაცი, დიდებული იყო 18 ივლისს სპორტული დღესასწაული მოსკოვში. „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი. 30 ათასზე მეტმა სპორტსმენმა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების წარმომადგენელმა — მიიღო მონაწილეობა ამ ზეიმში.

დღის 12 საათისათვის ტრიბუნებზე შეიკრიბნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკები, შეიარაღებული ძალების გენერლები და ოფიცრები. ზეიმს ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები. საბჭოთა სპორტსმენების დღესასწაულზე ჩამოვიდნენ უცხოეთის ქვეყნების სპორტული დელეგაციები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაციები, საერთაშორისო სასპორტო გაერთიანებათა ხელმძღვანელები.

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, რომლებსაც სპორტსმენები და მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ.

სადღესასწაულოდ მორთულ სტადიონზე გაისმა ფანფარების სიგნალი: „ისმინეთ ყველამ!". მოედანზე გამოდიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი და საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო. ისინი იღებენ პარადის სარდლის პატაკს. ამხ. რომანოვი მიესალმება სპორტსმენებს, ულოცავს მათ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს და ამბობს სიტყვას.

დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

ყველაფერი მზად არის პარადის დასაწყებად. გაისმის ბრძანება. დიდმა ნაკრებმა ორკესტრმა დააგუგუნა მარში და დაიძრა ფიზკულტურელთა კოლონები. პარადი დღესასწაულის შესანიშნავი შესავალია.

ტრიბუნებზე მქუხარე ტაში გაისმა. გამოჩნდა მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა და რეკორდსმენთა, ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულთა კოლონა.

სარბენ ბილიკზე მოდის რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების ფიზკულტურელთა ერთიანი მძლავრი ოჯახი. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ დედაქალაქის ნორჩ პიონერებს. ბავშვები მოხდენილად სვლაში უფროსებს არ ჩამორჩებიან. პიონერების შემდეგ მოდიან პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელები, სოფლის ფიზკულტურელთა, საზოგადოებების „სპარტაკისა" და „დინამოს" ნაკრები გუნდები. მსვლელობას ამთავრებენ საბჭოთა არმიის სპორტსმენები.

სულ რამდენიმე წუთით დაცარიელდა ფეხბურთის მოედანი. მაგრამ აი ტრიბუნის მხრიდან გამოჩნდა ფანერის მატარებელი — ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი. „ჩამოვიდნენ" დღესასწაულის ყველაზე ნორჩი მონაწილეები — პიონერები.

მთელ მოედანზე მორბის გოგონებისა და ბიჭუნების ჯგუფი. მათ თან მოაქვთ ყვავილების თაიგულები. პატარები ავიდნენ მთავრობის ლოჟაში და ათეულ ათასობით მაყურებლის ტაშის გრიალში ყვავილები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ამ დროს სტადიონის მოედანი ნამდვილ პიონერთა ბანაკად იქცა. გაჩნდა კარვები, სპორტსმენთა მთელი ქალაქი.

თავიანთ ოსტატობას ცხადყოფენ კარელიაფინეთის სს რესპუბლიკის ფიზკულტურელები. შუა მოედანზე იწყება ტანმოვარჯიშეთა ვარჯიში.

მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ესტონეთის სსრ წარმომადგენლებს. ფიზკულტურელები თავიანთ გამოსვლას ამთავრებენ ცოცხალი წარწერით „მშვიდობა მსოფლიოს".

ცისფერი ბალტიის ზღვა აკრავს ლატვიის ნაპირებს. ასობით იახტი დადის რიგის ყურეს სივრცეებზე, წყალუხვ დაუგავაზე. თავიანთ ვარჯიშში ლატვიის ფიზკულტურელები ერთმანეთს უხამებენ ტანმოვარჯიშეთა რთულ მოძრაობას და ნიჩბოსანთა, მცურავთა მოძრაობას.

დამსახურებული სახელი აქვთ მოხვეჭილი ლიტველ კალათბურთელებს — სსრ კავშირის თასის მფლობელებს. ლიტველი ფიზკულტურელების გამოსვლა მიეძღვნა ლიტველი ხალხის საყვარელ თამაშს — კალათბურთს.

ბევრი გამჭრიახობა, ნამდვილი ხელოვნება იყო ჩაქსოვილი სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენელთა პროგრამებში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდობამ მოსკოვის სტადიონზე ჩამოიტანა მომხიბვლელი ხალხური მელოდიები, ის სხვადასხვა ცეკვის ელემენტები, რომლებსაც დასვენების დროს ასრულებენ ქალაქშიც და სოფელშიც. სომხეთმა თავისი საუკეთესო ტანმოვარჯიშეები გამოგზავნა. მოედანზე გამოსვლისას მთელი მათი კოლონა თავისუფალ მოძრაობას ასრულებს. სამხრეთ ტრიბუნასთან გაჩნდა ნავთობის კოშკურათა კონტურები. გაისმის აზერბაიჯანული მელოდია. აზერბაიჯანელი ფიზკულტურელები ასრულებენ შერეულ თავისუფალ ვარჯიშს — სწრაფ „წერთნას". მსუბუქად, თავისუფლად მიდიან ქალიშვილები ფერად-ფერადი ლენტებით. ჩინებული იყო ქართველი ახალგაზრდობა რესპუბლიკათა სპორტსმენების თავისებურ შეჯიბრებაში. მათაც მაყურებლის აღტაცება გამოიწვიეს, მათაც დიდხანს მქუხარედ უკრავდნენ ტაშს.

ვაზით შემოწნული ტალავერებიდან გამორბიან მოლდავეთის სსრ ფიზკულტურელები. შერეული, თავისუფალი ვარჯიში იცვლება ქალიშვილების გამოსვლებით. ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილი, ფერხულში ჩაბმული ახალგაზრდობა მკვირცხლად ასრულებს „მოლდავენიასკუს".

მოედნის ცენტრისაკენ მიაქვთ ყაზახეთის სსრ ალამი, რომელიც გაკეთებულია წითელი და ცისფერი ტილოებით. ეს ტილოები მიაქვს ყაზახეთის ასობით ფიზკულტურელს. მოკლე აქნევა და ალამი იქცევა ვეებერთელა ტრანსპარანტად, რომელსაც აწერია: „ათვისოთ 6.400.000 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები".

მაყურებლებმა ბევრი საინტერესო რამ ნახეს ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ფიზკულტურელთა შესრულებით.

სამხრეთ ტრიბუნის გასწვრივ აღიმართა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების „შრომითი რეზერვების" ლურჯ-ცისფერი დროშების კედელი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებით აივსო მთელი ფეხბურთის მოედანი.

დაუვიწყარია ჩვენი ქვეყნის ორი უდიდესი სასპორტო უმაღლესი სასწავლებლის — ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტთა გამოსვლები.

რეპროდუქტორებიდან მოისმის ვალსის მელოდია. იგი ფართოვდება, ძლიერდება. იწყება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოსვლა. მოედანზე გამოდის მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა თითქმის სამი ათასი სტუდენტი. ვეებერთელა ყვავილნარად იქცა მწვანე მდელო. სპორტსმენები მხიარული სიმღერით ტოვებენ სტადიონს.

თითქოს არყისხის ჰალიდან გამოვიდნენო, გამორბიან ბელორუსიის ფიზკულტურელები. მოდიან და თან ასრულებენ თავისუფალ მოძრაობას, რომელიც შრომის სიმბოლოს წარმოადგენს. სტადიონის ცენტრში თითქოს ჯადოსნურად იქმნება საუცხოო სანახავი პირამიდა.

ყველაზე მასობრივი იყო პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელების გამოსვლა. სტადიონზე გამოვიდა ოთხიათასი ახალგაზრდა მუშა და მოსამსახურე. როცა სპორტსმენებმა მოედნის ცენტრში ჰაერში ასწიეს მზემოკიდებული ბრინჯაოს ფერი ხელები, ადამიანს ეგონებოდა, ოქროსფერ ყანას სიო აღელვებსო. შემოსულ პურში იქმნება სიტყვები: „დიდება შრომას".

მდიდარი და შინაარსიანი იყო რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ფიზკულტურელთა გამოსვლა. აქ მკაფიოდ აისახა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის თემა.

მწვანე მოედანზე უკრაინელ ფიზკულტურელთა გამოსვლით მკაფიოდ აღინიშნა ცოცხალი წარწერა „300 წელი", უკრაინის სსრ და რუსეთის სფსრ ალმები. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის სახელოვანი თარიღი ამას წინათ აღნიშნა ჩვენმა ქვეყანამ, როგორც ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობის დიადი დღესასწაული.

სტადიონზე გაისმის უკრაინული ხალხური ჰანგები. სპორტსმენები უჩვენებენ შერეულ თავისუფალ ვარჯიშს. სტადიონის მოედანი ტანვარჯიშის დარბაზად იქცევა. ჩვენი ქვეყნისა და უკრაინის რესპუბლიკის საუკეთესო ტანმოვარჯიშენი ცხადყოფენ მაღალ სპორტულ ოსტატობას რგოლებზე, ორძელზე, ძელსა და ტაიჭზე.

იწყობა ფინალური პირამიდა. მის მწვერვალზე ოქროსფრად ბრწყინავს ლენინის ორდენი, რომლითაც უკრაინის სსრ დააჯილდოვეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო ტაში, რომლითაც მაყურებლებმა უკრაინელი ფიზკულტურელები დააჯილდოვეს, რომ სამხრეთის ტრიბუნასთან ჩამწკრივდნენ რუსეთის ფედერაციის სპორტსმენთა კოლონები. ისინი საუცხოო ტექნიკით ასრულებენ ვარჯიშს სხვადასხვა იარაღზე. ასობით მსუბუქი ლითონის კიბე, რომლებითაც ვაჟები თავისუფალ ვარჯიშს ასრულებენ, აღიმართა მაღალ კედლად. ეს არის „ამხანაგი", რომელიც აღნიშნავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას.

ყველანი ცენტრში იკრიბებიან. შეწყობილად აიქნიეს ჰაერში ფერად-ფერადი ტილოები. თანმიმდევრულად ჩნდება მშვიდობის, შრომის სიმბოლოების, საბჭოთა კავშირის ვეებერთელა გერბის გამოსახულება.

მოედანზე კვლავ გამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა კოლონები. ისინი დგებიან სსრ კავშირის გერბის ორივე მხარეს. „მარად ერთად" — ჩნდება ღრმა აზრით აღსავსე სიტყვები.

გაისმის მისალმებანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. თვითეული სასპორტო დელეგაციის ქალიშვილები ყვავილების ვეებერთელა თაიგულებს უძღვნიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. სტადიონზე გრიალებს მძლავრი „ვაშა!" პარადის მონაწილენი ორკესტრთან ერთად ასრულებენ საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

* * *

ფიზკულტურის პარადის დროს მოეწყო უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსანთა, ძალოსანთა და მოჭიდავეთა გამოსვლები. (საქდესი).

## კაჭრეთის რაიონმა პურის დამზადების გეგმა შეასრულა

**კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 18 ივლისისათვის 113,8 პროცენტით შეასრულეს 1954 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (გარდა სიმინდისა).**

**გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის ანგარიშში.**

## აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

**მახარაძე, 19 ივლისი. (საქდესი). მახარაძის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 10,2 ცენტნერი პარკი. თვითეულ კოლოფზე 46 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 48,8 კილოგრამი პარკი.**

* * *

**ახმეტის რაიონმა 17 ივლისისათვის 100,7 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.**

**პარკის დამზადება გრძელდება.**

## დარბაზობა უცხოეთის სპორტულ დელეგაციათა პატივსაცემად

18 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დარბაზობა მოაწყო საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებისა და უცხოეთის სპორტულ დელეგაციათა პატივსაცემად, რომლებიც მოსკოვში დაესწრნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღის დღესასწაულს.

სტუმრები მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა.

სტუმართა შორის იყვნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი, საშტანგო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ე. ნიუბერგი, ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი გ. მიულეგი, სასროლო სპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი ე. კარლსონი და საერთაშორისო სასპორტო ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები. დარბაზობას დაესწრნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები ხე ლუნი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ფ. იანდა (ჩეხოსლოვაკია), ვ. რეჩეკი (პოლონეთი), ხედი დიულა (უნგრეთი), ვ. სტოიჩევი (ბულგარეთი), მ. ბონდარაში (რუმინეთი), მ. ევალდი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ალბანეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, ინდოეთის, ავსტრიის, ფინეთის, ეგვიპტის, ლიბანის სპორტული დელეგაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე უცხოეთის სპორტული დელეგაციების წევრები, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღის დღესასწაულზე.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბერნინი, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი ირჟი პელიკანი.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, ცნობილი საბჭოთა სპორტსმენები — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენები, მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციების წარმომადგენლები — ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილენი, საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზობის მონაწილეთათვის მოსკოვის მსახიობებმა გამართეს კონცერტი.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).







18 ივლისს, ახალგაზრდობის, ძალისა და სილამაზის დღესასწაულის დღეს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი. პარადში მონაწილეობა მიიღეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მრავალრიცხოვანმა სპორტულმა დელეგაციებმა, რომელთა შორის ბევრი იყო ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სპორტსმენი. მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სპორტულ დელეგაციებს შორის პარადზე დიდი წარმატებით გამოვიდა საბჭოთა საქართველოს სპორტსმენთა დელეგაცია, რომელიც მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. მზიური საქართველოს წარმოგზავნილებმა სტადიონზე გაშალეს დიდი დროშა, რომელზეც წარწერილი იყო გულითადი სიტყვები: „სალამი მოსკოვს". საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებმა პარადზე თავიანთი მაღალი ოსტატობა უჩვენეს. ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი გადაიქცა მოძმე საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. მან ცხადყო საბჭოთა სახელმწიფოს ფიზკულტურელების უსაზღვრო ერთგულება სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობისადმი. **სურათებზე:** საქართველოს სსრ სპორტული დელეგაცია „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის დღეს.

ფოტო ბ. იაროსლავცევისა (მიღებულია ფოტოქრონიკით).

# ჩამოდით, ქალიშვილებო, ჩვენთან, ყამირ მიწებზე!

## მარინოვკის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელ ქალთა წერილი

კომუნისტური პარტიის მოწოდებით ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ სოფლისა და ქალაქის მშრომელები ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. როგორც ცნობილია, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩავიდა და უკვე აქტიურად ჩაება მუშაობაში 140 ათასზე მეტი კაცი. უახლოეს დროში ნაყოფიერ მიწებზე ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა დიდად შეუწყობს ხელს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. ჩვენ კარგად ვხედავთ ამას ჩვენი და სხვა საბჭოთა მეურნეობების მაგალითით. ყაზახეთში ახლა შექმნილია 90-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა. აქედან 27 აკმოლინსკის ოლქშია, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

ცოტა დრო გავიდა, რაც დაიწყო ყამირი მიწების ათვისება. მკვეთრად იცვალა სახე და გაცოცხლდა ახლა ყაზახეთის ველები. მძლავრი ტრაქტორებით უკვე მოხნულია უდიდესი მიწის მასივები. ყამირ მიწებზე გაჩნდა სატრაქტორო ბრიგადების საველე ბანაკები, შენდება საბჭოთა მეურნეობების კარმიდამოები — ყველგან გაჩაღებულია დაძაბული შრომითი ცხოვრება.

ჩვენი მარინოვკის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ისეთი მეურნეობაა, რომელიც ახლა თვალწინ იზრდება და რომელსაც დიდი მომავალი აქვს. აქ დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის, ვოროშილოვგრადის, ჟიტომირის, პოლტავის, ოდესის, სტალინგრადისა და სხვა ოლქებიდან, ლენინგრადიდან, კისლოვოდსკიდან, ალმა-ატიდან ჩამოვიდა 200-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მუშაობის პირველი დღეებიდანვე ჩვენთან შეიქმნა ერთსულოვანი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაცია თორმეტი კაცის შემადგენლობით და კომკავშირული ორგანიზაცია 140 კაცის შემადგენლობით. ჩვენთან სამი სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადაა, რომელთა შორის გარდამავალი წითელი დროშა უპყრია ა. სიროვატკას ბრიგადას. 60 კაცი მუშაობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე. უკვე მზად არის 24 ბინა, ხოლო 15 აგვისტოსთვის გვექნება კიდევ 70 ბინა და დიდი საერთო საცხოვრებელი. ჩვენი მშენებლები ენერგიულად მუშაობენ, ძალებს არ იშურებენ, დროს არ უყურებენ. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მადლიერებით აღნიშნავს ამხ. სკვორცოვის, კლიმოვისა და კოსოის მშენებელთა ბრიგადების კეთილსინდისიერ მუშაობას. ეს გასაგებიც არის, კარგ საყოფაცხოვრებო პირობებზე დამოკიდებულია წარმატება ყველა სხვა უბანზე.

თუმცა ჩვენ შორს ველში ვიმყოფებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისაგან მოწყვეტილად თავს არავინ გრძნობს. ჩვენ მიწერ-მოწერა გვაქვს მეგობრებთან იმ ადგილებში, საიდანაც ჩამოვედით. მაგალითად, ლენინგრადელი ქალიშვილები ლუსია სემიონოვა და ტონია ტემეშევა წერილებს იღებენ ლენინგრადის ჟელიაბოვის სახელობის სამღებრო-საქსოვი ფაბრიკის კომკავშირელებისაგან. ვალია ნეპოჩატოვას მიწერ-მოწერა აქვს ხარკოველ მეგობრებთან.

ჩვენთან ცენტრალურ კარმიდამოსა და სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადებში დადგმულია რადიომიმღებები, გვაქვს გარმონები, პატეფონები, მოწყობილია ფრენბურთის მოედნები. ახალგაზრდობამ იცის კარგად შრომა და მხიარულად დასვენება.

რა თქმა უნდა, ვფიქრობთ მომავალზე, იმაზე, თუ როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება მომავალში. აქ მთავარი დამოკიდებულია საწარმოო მიღწევებზე. მიწები აქ ნაყოფიერია, მოსავალი შეიძლება ძალიან დიდი მივიღოთ. წელს მოვახერხეთ დაგვეთესა ათას ჰექტარზე მეტი სხვადასხვა კულტურა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ექვსასი ჰექტარისა. მომავალი წლიდან უხვ მოსავალს მოგვცემს მთელი გატეხილი ყამირი. თანდათან უფრო გაიზრდება ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ქალაქი: სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობის გარდა, აქ აშენდება სკოლა, საავადმყოფო, სასადილო, ტბის ბაზაზე განზრახულია შეიქმნას დიდი წყალსაცავი, მის ნაპირებზე გავაშენებთ პარკს.

ზამთრისათვის საბჭოთა მეურნეობებში მოეწყობა მუშა ახალგაზრდობის საღამო სკოლები. ბევრი ჩვენგანი მექანიზატორთა კურსებზე დაეუფლება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას — ტრაქტორს, კომბაინს. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებსაც სურთ ინდივიდუალური სახლი აიშენონ, სახელმწიფო აძლევს ფულად სესხს, საშენ მასალას.

ყამირზე ჩამოსული ადამიანები აქ ეწყობიან მკვიდრად, დიდი ხნით. ბევრნი ოჯახებით ჩამოვიდნენ, და დღითიდღე სულ უფრო მეტი ახალი ოჯახი იქმნება. ჩვენი საბჭოთა მეურნეობის დირექცია ოჯახიანებსა და ახალდაქორწინებულებს აძლევს ცალკე კარვებს, ხოლო სახლების დამთავრებისას პირველ რიგში მათ მისცემს ბინებს.

არ დავმალავთ, რომ სიძნელეები გვხვდება. ყველასათვის გასაგებია: ადვილი საქმე როდია უკაცრიელი მიწების ათვისება. მაგრამ ეს ზრდის სიძნელეებია, რომელთა გადალახვით ახალი საბჭოთა მეურნეობის მუშაკები კეთილშობილურ პატრიოტულ საქმეს აკეთებენ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მამობრივად ზრუნავენ ყამირი და ნასვენი მიწების მუშაკებზე. ჩვენ გვეხმარება მთელი ჩვენი ქვეყანა.

ახლა, ვითვალისწინებთ რა წარსული თვეების გამოცდილებას, საჭიროდ მივაჩნია აღვძრათ დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ყამირ მიწებზე მუშაობს ბევრი მამაკაცი, ხოლო ქალიშვილები და ქალები ცოტაა. მაგალითად, ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში 37 ქალია, ე. ი. მომუშავეთა საერთო რიცხვის მეექვსედი ნაწილი.

ამავე დროს აქტიური მუშა ქალები საბჭოთა მეურნეობებში საჭირო არიან. ჩვენ გვესაჭიროებიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მექანიზატორები, მშენებლები, მწველავები, ექიმები, ფერშლები, მედიცინის დები, მასწავლებლები, ბუღალტრები, კავშირგაბმულობის მუშაკები. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ მრავალი სპეციალობის ქალიშვილები გამოიყენებენ თავიანთ ძალებსა და ცოდნას ახალ საბჭოთა მეურნეობებში. მათი მზრუნველი ხელი საჭიროა ყველგან, წარმოების ყველა უბანზე. ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში ჩამოსული ქალიშვილები აქტიურად მუშაობენ სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადებში, მშენებლობაზე, ბუღალტერიაში, სამედიცინო პუნქტში, სასადილოში.

მაგრამ ყოფაცხოვრებაშიც, ბევრ საწარმოო უბანზეც მწვავედ იგრძნობა ქალების ნაკლებობა. მაგალითად, ჩვენთან მხოლოდ ერთი ქალიშვილია ტრაქტორისტი. საბჭოთა მეურნეობას გამოუყვეს ორმოცი ძროხა მუშების მოსამარაგებლად რძით. მაგრამ გვაკლია უნარიანი ხელი, რომ მოუარონ ძროხებს, მოწველონ, გვაკლია ქალიშვილები ბოსტნებში სამუშაოდ.

გამოვთქვამთ რა არა მარტო ჩვენს აზრს, არამედ აგრეთვე ახალი საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკის სურვილს, მოვუწოდებთ ქალიშვილებს ჩამოვიდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, რათა პირადად ჩაებან ბრძოლაში კეთილშობილური პატრიოტული ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს.

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ქალები მუდამ იყვნენ ყველა პატრიოტული თაოსნობის აქტიური მონაწილენი.

ძვირფასო მეგობრებო! გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას, ჩამოდით სამუშაოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

რაისა **ემელიანოვა** — განყოფილების აგრონომი, ალექსანდრა **ზამჩი** — ფერშალი, ელენე **კლეშნია** — ნავთობის ბაზის გამგე, ვალენტინა **ნეპოჩატოვა** — მიმზმელი, პოლინა **პაშკოვა** — სამშენებლო ბრიგადის მუშა, ლიუდმილა **სემიონოვა** — მიმზმელი.

ყაზახეთის სსრ აკმოლინსკის ოლქის მარინოვკის საბჭოთა მეურნეობა.



## სერგო ორჯონიკიძის ძეგლის გახსნა

18 ივლისს კოჯორში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საბავშვო ბაღის საზაფხულო დასასვენებელი სახლის ეზოში გაიხსნა მგზნებარე პროლეტარული რევოლუციონერის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის ძეგლი.

საზეიმო მიტინგი გახსნა ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა თ. კალანდაძემ. სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ბერძენიშვილმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის წარჩინებული ადამიანები ვ. ამირგულოვი, მ. ოვსიანიკოვა და სხვები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

* * *

**სურათზე:** სერგო ორჯონიკიძის ძეგლი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა მთავრობამ 24 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ კუნძულ ტაივანის რაიონში, წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები, ნაღმოსნის ტიპის გემმა მოიტაცა საბჭოთა ტანკერი „ტუაფსე“. 26 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო ნოტა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უსაბუთოდ უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობას საბჭოთა გემის უკანონო მოტაცებაში. ამასთან დაკავშირებით 2 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ახალი ნოტა, რომელშიც აღინიშნა რა, რომ საბჭოთა ტანკერის მოტაცება წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევს შეერთებული შტატების ფლოტი და პატრულობენ მათი სამხედრო თვითმფრინავები, შეეძლოთ განეხორციელებინათ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებს, რაალმითაც უნდა მოქმედებდნენ ისინი, საბჭოთა მთავრობამ დაუდასტურა თავისი 24 ივნისის ნოტა და პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საბჭოთა ტანკერის დაკავების წინააღმდეგ, რაც კვლავ გრძელდება.

4 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ცდილობს უსაბუთოდ უარყოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობა ტანკერ „ტუაფსეს“ უკანონოდ მოტაცებაში.

19 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1954 წლის 4 ივლისის ნოტასთან დაკავშირებით, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ცდილობს მოიხსნას პასუხისმგებლობა საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებისათვის, კუნძულ ტაივანის სამხრეთის წყლებში, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

ადასტურებს რა თავის 24 ივნისისა და 2 ივლისის ნოტებს, რომლებშიც მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც შეეხება სამხედრო გემის მიერ საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებას წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 4 ივლისის ნოტაშიც კვლავ კმაყოფილდება შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობის უსაბუთო უარყოფით ამ მოტაცებაში, თუმცა სადაოდ არ მიაჩნია ყველასთვის ცნობილი ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები კონტროლს უწევენ ღია ზღვის იმ რაიონს, სადაც მოხდა თავისუფალი ნაოსნობის დარღვევის ეს უხეში აქტი.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მთლიანად პასუხისმგებელია საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებისათვის, ისევე როგორც მისი ეკიპაჟის უშიშროებისა და გემისა და ტვირთის დაცვის უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს პროტესტს ტანკერ „ტუაფსეს“ უკანონოდ მოტაცების წინააღმდეგ, რაც კვლავ გრძელდება და მოითხოვს დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას ტანკერი „ტუაფსე“ ტვირთით და ტანკერის ეკიპაჟი. საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს მოსთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმ ზარალის ანაზღაურება, რაც საბჭოთა კავშირს მიაყენეს ტანკერ „ტუაფსეს“ უკანონოდ მოტაცებასთან დაკავშირებით.

# საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიური ურთიერთობისათვის

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის, 1954 წლის 17 ივლისს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1956-1960 წლებში ორივე ქვეყანას შორის საქონლის მიწოდების შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა და ფინეთის მხრივ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ. კეკონენმა.

ხელის მოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ა. ზორინი, მ. რ. კუზმინი, ი. თ. სემიჩასტნოვი, ვ. მ. პტაშნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ნ. ი. ჩეკლინი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ა. ი. სოსუნოვი, და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ფინეთის მხრივ: ფინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურის მოადგილე მინისტრი გ. პალმრუტი, ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ლესკინენი, ფინეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში რ. ენკელი, მოსკოვში ფინეთის მისიის ატაშე ტ. კეკონენი და სხვები.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირის იმპორტი ფინეთიდან, რაც 1954 წელს საქონლის მიწოდების შესახებ ოქმის შესაბამისად განსაზღვრულია 580 მილიონამდე მანეთის ოდენობით, 1956 წელს გადიდდება 590 მილიონ მანეთამდე, 1957 წელს — 595 მილიონ მანეთამდე, 1958 წელს — 630 მილიონ მანეთამდე, 1959 წელს — 640 მილიონ მანეთამდე და 1960 წელს — 655 მილიონ მანეთამდე.

მეორე მხრივ, შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირის ექსპორტი ფინეთში, რაც 1954 წელს სულ ცოტა 425 მილიონი მანეთი იქნება, 1956 წელს შეადგენს 430 მილიონ მანეთს, 1957 წელს — 435 მილიონ მანეთს, 1958 წელს — 470 მილიონ მანეთს, 1959 წელს—480 მილიონ მანეთს და 1960 წელს — 495 მილიონ მანეთს.

განსხვავება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მიწოდებებს შორის 1956-1960 წლების პერიოდში, რაც ყოველწლიურად 160 მილიონ მანეთს შეადგენს, დაიფარება 120 მილიონი მანეთით იმ გზით, რომ შეთანხმება დაიდება მესამე ქვეყნებთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირი ფინეთს გაუგზავნის თავისუფალ შექცევად ვალუტას 40 მილიონი მანეთის ოდენობით წელიწადში.

გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა კავშირის იმპორტი ფინეთიდან 1956-1960 წლებში, როგორც წინათ, ახლაც შედგება ისეთი პროდუქციისაგან, როგორიც არის გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი, კაბელისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის სხვა დარგების პროდუქცია, სტანდარტული სახლები, დახერხილი მასალა, ბალანსები, ცელულოზა, ქაღალდი, მუყაო, აგრეთვე ქაღალდის ნაწარმი.

საბჭოთა კავშირის ექსპორტში ძირითად ნაწილს შეადგენს მარცვლეული, შაქარი, საკვები, ხელოვნური სასუქი, თხევადი და მაგარი სათბობი, ლითონები, ნაგლინი, ბამბა, ქიმიკატები და ბეწვეული, ამასთან ერთად საბჭოთა კავშირი ფინეთს მიაწვდის სამრეწველო მოწყობილობასა და ავტომანქანებს, აგრეთვე მორებსა და ბალანსებს.

# ქალაქ თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

გაიმართა ქალაქ თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება. კრებამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მ. ლელაშვილის მოხსენება სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XI ყრილობის შედეგების შესახებ.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობის გადაწყვეტილებების ახსნა-განმარტებისა და შესრულებისათვის. სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის.

წარმატებით დაამთავრეს რა 1953 სამეურნეო წელი, საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულეს. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 12 პროცენტით გაიზარდა.

ახალ წარმატებებს აღწევენ თბილისის მშრომელები. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის სახელმწიფო გეგმა 1954 წლის პირველ ნახევარში 102,6 პროცენტით შეასრულეს. 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 16,8 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ საშუალო დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები ვერ ფარავენ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების სერიოზულ ჩამორჩენას. თბილისში გეგმა ვერ შეასრულა 27 საწარმომ, მათ შორის ისეთებმა, როგორიც არის კერამიკული კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა № 7 და სხვ.

საწარმოთა ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სოციალისტური შეჯიბრების სუსტად გაჩაღება. ფაქტები მოწმობენ, რომ იქ, სადაც პროფკავშირული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, განაზოგადებენ ნოვატორთა გამოცდილებას და იბრძვიან მისი დანერგვისათვის, მაღალი მაჩვენებლები აქვთ. მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, სადაც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა მუშა, 1954 წლის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 103,7 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. იგივე შეიძლება ითქვას სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაზე, მაუდკამვოლის კომბინატსა და სხვა საწარმოებზე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ საქართველოს პროფორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი საშეფო დახმარებისათვის. საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის ბევრმა საწარმომ საშეფო მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გაგზავნა ინსტრუმენტები და მოაწესრიგა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადება. ამ მხრივ წარმატებით მუშაობენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და სხვა კოლექტივები.

მაგრამ გაკეთებული რაც არის, ეს მხოლოდ დასაწყისია. საშეფო მუშაობა უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც ყველგან, იგრძნობა პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. გასულ სამ წელს საქართველოს მშრომელებმა მიიღეს 450 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საბინაო მშენებლობაში დაბანდებულია 800 მილიონ მანეთამდე, გარდა ამისა აშენებულია და შენდება ბევრი საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება: კლუბები, ბიბლიოთეკები, წითელი კუთხეები, საბავშვო დაწესებულებანი და სხვ.

მაგრამ მშენებლობაში ბევრი სერიოზული ნაკლია. მთელ რიგ შემთხვევებში ირღვევა დადგენილი ვადები. საკმაოდ არ არის გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები, დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლას პროფკავშირული ორგანიზაციები მცირე ყურადღებას აქცევენ.

ბევრი არსებითი ნაკლია პროფკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. საკმაოდ არ არის გამოყენებული პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. სუსტია ლექციური პროპაგანდა. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების მუშაობას, რადგან ეს მუშაობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის.

კრებაზე გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტის მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ბეგალიშვილი, რომელმაც ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რასაც საწარმოში უწევენ მუშა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. ეს დახმარება ხელს უწყობს მუშათა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას. მარტო 1953 წელს ქარხანამ მიიღო დახლოებით 800 წინადადება, რომელთა უმრავლესობა დანერგილია.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი ამხ. ზ. კეცხოველი შეეხო სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების ამოცანებს. მან აგრეთვე ილაპარაკა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მიმდინარე წელს სამინისტრო აშენებს და საექსპლოატაციოდ გადასცემს 33 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, აგრეთვე მთელ რიგ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს. მაგრამ საპროექტო ორგანიზაციები და თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის არქიტექტურის სამმართველო შეუწყნარებლად აჭიანურებენ საცხოვრებელი სახლების პროექტების შედგენასა და დამტკიცებას.

ქარხანა „ჩარხის“ დირექტორმა ა. ბოკერიამ ილაპარაკა საწარმოს სიმძლავრეთა სრულ გამოყენებასა და პროდუქციის გამოშვების გადიდებაზე.

კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ მშრომელთა მზარდ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობაზე, იმაზე, რომ ისინი მზად არიან თავდადებით იბრძოლონ ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო გადაწყვეტილება. (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

# სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრისა და იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება თვითდაბეგვრის თანხები გურჯაანისა და მახარაძის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის განხორციელება გურჯაანისა და მახარაძის რაიონებში. როგორც შემოწმებამ ცხადყო, აღნიშნულ რაიონებს ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ.

სოფლის მოსახლეობის საერთო კრებები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილებანი თვითდაბეგვრის მოწყობისა და ხარჯთაღრიცხვათა დამტკიცების შესახებ, უფლებამოსილი არ იყო, რადგან ამ კრებებს ესწრებოდა სოფლის სრულწლოვანი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები.

შემოწმებულ რაიონებში იყო თვითდაბეგვრის თანხების უკანონო ხარჯვის შემთხვევები. ეს თანხები ძირითადად გათვალისწინებულია სოფლების კეთილმოწყობის საჭიროებისათვის. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ველისციხის, გურჯაანის, ახაშნის და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომები თვითდაბეგვრის თანხებიდან ყოველთვიურად აძლევდნენ ხელფასს დარაჯებს, მონტიორებსა და სხვა პირებს. მახარაძისა და გურჯაანის რაიონების მთელი რიგი სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა თვითდაბეგვრის თანხებით შეიძინეს შეშა, საკანცელარიო ნივთები, გამოიყენეს ეს თანხები სამივლინებო ხარჯების დასაფარავად.

სერიოზული ნაკლია ის, რომ არ სრულდება სოფლის მოსახლეობის საერთო კრებების დადგენილებანი თვითდაბეგვრის თანხების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ და არ ხდება აკრეფილი თანხების ათვისება. მახარაძის რაიონში 1954 წლის 1 ივნისისათვის 254 ათასი მანეთიდან სულ ათვისებული იყო 2 ათასი მანეთი, ხოლო გურჯაანის რაიონში 325 ათასი მანეთიდან ათვისებულია 264 ათასი მანეთი.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება თვითდაბეგვრის თანხების აკრეფის გეგმები. გურჯაანის რაიონში თვითდაბეგვრის გადასახადის აკრეფის გეგმა 1954 წლის 1 ივნისისათვის შესრულებული იყო 79,8 პროცენტით, მახარაძის რაიონში ეს გეგმა შესაბამისად შესრულებულია მხოლოდ 34,3 პროცენტით. სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოსახლეობის საერთო კრებებს როდი აბარებენ ანგარიშს თვითდაბეგვრის სახსრების ხარჯვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გურჯაანისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ სასოფლო საბჭოების მუშაობას თვითდაბეგვრის მოწყობაში, არ ისმენენ აღმასკომის სხდომებზე სასოფლო საბჭოების ანგარიშებს, თუ როგორ მიმდინარეობს თვითდაბეგვრის თანხების აკრეფა და ხარჯვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გურჯაანისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას მთელი გამოაშკარავებული ნაკლოვანებანი სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის მოწყობაში, ამ გადასახადის სახსრების ხარჯვაში.

საჭიროა უმოკლეს ვადაში შემოწმდეს და მოსმენილ იქნას აღმასკომების სხდომებზე, თუ როგორ მიმდინარეობს სოფლის საბჭოებში თვითდაბეგვრა, შესაბამისი თანხების აკრეფა და ხარჯვა.

დაუშვებელია თვითდაბეგვრის სახსრების არასწორი და მიზანშეუწონელი ხარჯვა.

თვითდაბეგვრის მოწყობის დროს განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ საკავშირო ცაკისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით „სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“.

სასოფლო საბჭოებმა პერიოდულად უნდა ჩააბარონ ანგარიში სოფლის მოსახლეობას, თუ როგორ იხარჯება თვითდაბეგვრის თანხები.

თვითდაბეგვრის თანხების ხარჯვის გეგმების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გზების გაყვანასა და შეკეთებასთან, სკოლების, ხიდების, აბანოების მშენებლობასა და შეკეთებასთან და სოფლების კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებთან.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაევალა პერიოდულად გაუწიოს კონტროლი, სწორად იხარჯება თუ არა თვითდაბეგვრის თანხები საქართველოს სსრ რაიონებში.

რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ შეამოწმონ, თუ რა მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს რჩევა მიეცათ შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება საკავშირო ცაკისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილება „სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში და მიიღონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. (საქინფორმი).

## მოდრეიფე სამეცნიერო სადგურზე ცენტრალურ არქტიკაში

17 ივლისს საკდესის კორესპონდენტი რადიოთი დაუკავშირდა ცენტრალური არქტიკის ყინულებში მოდრეიფე სამეცნიერო სადგურს, რომელსაც მეთაურობს გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ი. ტოლსტიკოვი.

**მოსკოვი.** — გამარჯობა, დიდი სალამი კოლექტივს. გთხოვთ გვაცნობოთ როგორ გრძნობთ თავს, როგორ მიმდინარეობს ბანაკის ცხოვრება, მეცნიერული მუშაობა, როგორი ამინდია.

**ე. ი. ტოლსტიკოვი.** — ჩვენს სამეცნიერო მოდრეიფე სადგურზე, რომელიც „ყინულოვანი დუმილის" პირად მდებარეობს, შუა ზაფხულია. წელიწადის ეს მშვენიერი დრო გვამცნეს უკიდურესი ჩრდილოეთის ბეღურებმა, რომლებიც ჩვენს ბანაკში მოფრინდნენ. მაგრამ თბილმა ამინდმა — პლუს 1-2 გრადუსმა სითბომ დიდ გაჭირვებაში ჩაგვაგდო. ბანაკში ხშირია ნისლი, ქარი და წვიმა, რაც ყინულის ინტენსიურ დნობას იწვევს. წყალთან ბრძოლას დიდი დრო მიაქვს. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მშრალზე შევინარჩუნოთ პატარა სახლები, სადაც მეცნიერები ცხოვრობენ, სასამსახურო კარვები, სამეცნიერო დანადგარები.

კოლექტივი კარგად, მხნედ არის, დღედაღამ მუშაობს, ძლევს რთულ სიძნელეებს, ასრულებს მეცნიერული კვლევის პროგრამას. სადგურის აეროლოგთა ჯგუფის მეცნიერები პროგრამის გადამეტებით აწყობენ აქცინომეტრიულ დაკვირვებას. ჩვენთან ფართოდ არის განვითარებული პროფესიათა შეთავსება. მაგალითად, ექიმმა პალეევმა აითვისა მეტეოროლოგის სპეციალობა და აქტიურად გვეხმარება მუშაობაში. დიდ დახმარებას გვიწევს ავტოჟირი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია. მეცნიერებათა კანდიდატი დრალკინი ახალგაზრდა სპეციალისტ იზბეკოვთან ერთად მეტეოროლოგიურ დაკვირვებას ახდენს ბანაკს დაშორებულ ყინულის ველებზე.

დასვენების საათებში ვაწყობთ კულტურულ მუშაობას. საერთოდ აქ თავს არ ვგრძნობთ „დიდ მიწას" მოწყვეტილად. ვიმყოფებით რა ცენტრალურ პოლარულ აუზში, ყოველდღე ვისმენთ მშობლიური მოსკოვის ხმას და ვიცით ყველაფერი, რაც ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ცხოვრებაში ხდება. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ლექციებს აწყობენ პოლიტიკურ და მეცნიერულ თემებზე. ჩვენთან გამოდის მსოფლიოს ყველაზე ჩრდილოეთი კედლის გაზეთი და რადიოგაზეთი, რომლებიც აშუქებენ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობასა და ცხოვრებას. კოლექტივი დიდ სალამს უთვლის მოსკოვს.

## ს. აინის დაკრძალვა

სტალინაბადი, 18 ივლისი. (საკდესი). გუშინ ტაჯიკი ხალხი უკანასკნელად გამოეთხოვა გამოჩენილ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სტალინური პრემიის ლაურეატს სადრიდინ საიდმურადის-ძე აინის.

მთავრობის სახლის მოედანზე, სადაც სამგლოვიარო პროცესია მივიდა, გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. სიტყვები წარმოთქვეს ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. იმამოვმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. რაშიდოვმა და სხვებმა.

სადრიდინ საიდმურადის-ძე აინი დაკრძალულია ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში.

## გავუთანასწორდეთ მოწინავეებს მოსავლის აღებაში

ნაფარეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერებმა, როცა ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას გაეცნენ, მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. მექანიზატორთა სიტყვა საქმეს არ სცილდება, თქვეს, და კიდევაც ასრულებენ.

შოთა დურგლიშვილი ახალგაზრდა კომბაინერია. „სტალინეც-6" მარკის კომბაინით დღეში 10 ჰექტარი უნდა მომკას. ფაქტიურად არც ერთი დღე არ იყო ისეთი, რომ 20-23 ჰექტარი არ მოემკა. დურგლიშვილის კომბაინის ბუნკერიდან უკვე გადმოტვირთულია 2.319 ცენტნერი ხორბალი.

— კომბაინერებს წინათაც უმუშავნიათ ჩვენთან, — თქვა ართანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჯიქურაშვილმა, — მაგრამ დურგლიშვილისთანა სიმუყაითე არავის გამოუჩენია. აგერ ათ დღეზე მეტია იგი ჩვენთან არის. მისი აგრეგატი შეუფერხებლად მუშაობს.

დურგლიშვილის აგრეგატი ღამის სამ საათამდე განაგრძობს მკას. ტრაქტორისა და კომბაინის გაწმენდას, დაზეთვას და მოშვებული ნაწილების დამაგრებას დილის 6 საათზე ამთავრებს. საათობრივი მუშაობის გრაფიკს ერთხელ კიდევ ეცნობა და მუშაობას იწყებს. მეშტურვალე დ. მოდებაძე და ტრაქტორისტი დ. ამირაჯიბი მცოდნე და მონდომებული მუშაკები არიან. მათი მიზეზით აგრეგატს შეფერხება არა აქვს.

ნაფარეულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ხორბლის ისეთი მოსავალი, როგორიც წელს არის, არასოდეს არ ყოფილა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. მთვარელიშვილი და ბრიგადირები დღედაღამ მინდვრად არიან, კომბაინერებს დახმარებას არ აკლებენ, საშრობებსა და კალოებზე ხორბლის წმენდას ხელმძღვანელობენ, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაზე ზრუნავენ.

კომბაინერმა იოსებ მანგოშვილმა, კოლმეურნეთა შორის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ათ სამუშაო დღეში 160 ჰექტარზე აიღო მოსავალი, გეგმა კი ას ჰექტარს ითვალისწინებდა. მანგოშვილმა 2.870 ცენტნერი ხორბალი გაგზავნა საშრობებსა და კალოებზე. კოლმეურნეებმა იანგარიშეს და დაასკვნეს, რომ მანგოშვილის მიერ ათ დღეში შესრულებულ სამუშაოს ორი ათასამდე კაცი მოუნდებოდა.

გიორგი ყველაიშვილი ლალისყურის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში" იღებდა მოსავალს. იგი მკის ყოველდღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებდა, რაც მთავარია, მკიდა სუფთად, თავთავს არ ტოვებდა, მაღლა ჭრის არცერთი შემთხვევა არ ჰქონია. ახლა იგი ფშაველის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში მუშაობს.

მოსავლის აღებაში გ. დიასამიძე და ე. ხანდოლიშვილიც მოწინავენი არიან. ისინი შეუფერხებლად მართავენ მინდვრის ხომალდებს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაფარეულის მტს-ი შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესად მუშაობს.

მაგრამ [illegible]

კომბაინერმა გიორგი ყველაიშვილმა გვითხრა:

— ფშაველში 13 ივლისს მივედი სამუშაოდ. ნაკვეთი შემომკილი არ იყო. მიუხედავად ამისა, მკა დავიწყე, მაგრამ პურის წასაღებად ტრანსპორტი არ აღმოჩნდა. ამ მიზეზით 10 საათზე მეტი უქმად ვიდექი. შემდეგ ტრანსპორტი მოვიდა, მაგრამ ხორბლის დასაყრელად კალო არ მოუმზადებიათ. მეტი გზა არ იყო, ნიჩბები ვიშოვნეთ და კალო ჩვენ გავაკეთეთ. 14 ივლისს კალოზე ორი მწონავი გამოცხადდა, მაგრამ სასწორი არ ჰქონდათ. პური აუწონავად იყრებოდა.

ფშაველში მარტო მოსავლის აღების საქმე როდია ცუდად. თითქმის ყველა სამუშაო სამარცხვინოდ ჩამორჩება, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლ. ზათიაშვილს ეს არ აღარდებს. კოლმეურნეთა შორის მას ავტორიტეტი არა აქვს, საქმის გაკეთება არ შეუძლია. მაშ რატომ არის ხელმძღვანელად? — იკითხავს მკითხველი. ამ კითხვას, ალბათ, თელავის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები უპასუხებენ.

ნაფარეულის, ართანის, სანიორისა და სხვა კოლმეურნეობებში მექანიზატორები მომკილი ნაკვეთებიდან ნამჯას ეზიდებიან, კოლმეურნეები ზვინავენ. მტს-ს ყველგან შეუძლია ამ საქმის მოწყობა, მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ ჩქარობენ. ყარაჯალის კოლმეურნეობის მინდვრებში დიდძალი ნამჯა დაგროვდა. მტს-მა მის შესაგროვებლად ტრაქტორები და სპეციალური მოწყობილობანი მიიტანა, თუმცა მუშაობა არ დაუწყიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მუსალიევი ნამჯის შეგროვებას აგვიანებს იმ მიზეზით, რომ ჯერ ნაკვეთების მიღებაზე ხელი არ მიწერიაო; მეორე იმიტომ, რომ თუ შეგროვებაა, ბარემ ფერმაში მიზიდეთო. ტრაქტორისტები ბაირამ ისა-ოღლი და კ. რაიბული სამი დღეა ცდებიან, ნამჯა კი შესაგროვებელია.

მექანიზატორები ენერგიას არ ზოგავენ. მათ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ შეასრულონ.

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



ქარელის რაიონში გაჩაღებულია აბრეშუმის პარკის დამზადება. სურათზე: [illegible] პარკის ხარისხს, ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურების ს. ზებედაშვილისა და მ. გაზაშვილის მიერ მოტანილ პარკს წონის პუნქტის გამგე ა. ქურიძიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

მასობრივად არის გაჩაღებული თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. კახეთის რაიონებში გაძლიერებული ტემპით მკიან პურეულს. სულ რესპუბლიკაში 15 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 100.262 ჰექტარზე, რაც გეგმის 25,5 პროცენტს შეადგენს. აქედან კომბაინებით მომკილია 94.811 ჰექტარი.

სიღნაღის რაიონში მომკილია 15.790 ჰექტარი, გეგმით კი ასაღებია 27.409 ჰექტარი, კაჭრეთის რაიონში — 6.054 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 14.453 ჰექტარიდან, წითელწყაროს — 34.579 ჰექტარიდან 13.915 ჰექტარი, ლაგოდეხის რაიონმა 11.444 ჰექტარიდან აიღო 8.090 ჰექტარი.

თეთრი წყაროს რაიონში მოსავალი აღებულია 4.103 ჰექტარზე, გურჯაანის — 3.647, თელავის — 2.973, ახმეტის — 3. 298, თბილისის გარეუბნის — 5.023, მცხეთის — 2.002, გარდაბნის — 4.084, მარნეულის — 10.144, ბოლნისის — 3.420, საგარეჯოს — 3.910, ხაშურის — 540, ქარელის — 682, გორის — 2.181, კასპის — 3.139, ბორჯომის — 14, დმანისის რაიონში — 31, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 78 ჰექტარი.

## თამბაქოს შეტეხვა

მეთამბაქოე რაიონებში მიმდინარეობს თამბაქოს პირველი მოსავლის აღება. 15 ივლისისათვის რესპუბლიკაში სულ შეტეხილი იყო 3.398.326 ზონარმეტრი თამბაქო.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხეს 1.022.137 ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის რაიონში — 1.403.654, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 965.100, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — 7.435 ზონარმეტრი თამბაქო.

## დიდი მოგებანი

დუშეთი. (საკ. კორ.). მოქალაქე ნ. ინაშვილმა შემნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 10.200 მანეთი მოგება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის ორასმანეთიანი ობლიგაციით სოფელ ბაზალეთის მცხოვრებმა ფ. ქ-ძემ 25.200 მანეთი მოიგო.

## ამბავი ერთი ფელეტონისა

— წაიკითხეთ?!

— სიამოვნებით.

— მაშ როგორ იგონა!

— ღირსია, მეტი ეკუთვნის!

ასე ლაპარაკობდნენ ამ ექვსი თვის წინ ტყიბულელი მეშახტეები. თან სიხარულით დასცქეროდნენ გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" სადებავშეუშრობელ ახალ ნომერს, რომლის ფურცელზე დასაბუთებულად იყო გაკრიტიკებული სტალინის სახელობის შახტის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ ადეიშვილი. კორესპონდენტებმა ფარდა ახადეს ადეიშვილის „მოღვაწეობას".

„ჩვენი დევგმირი, — წერდა გაზეთი, — შესაფერისი ბაქიბუქით მოევლინა ტყიბულს. სამგორის მშენებლობიდან ნაპანღურებმა ძლივსძლივობით შეძლო სავარძელში ჩაჯდომა და მაშინვე მეგობრული საუბარი გააბა „საქქვანახშირის" კომბინატის უფროსთან:

— შახტის ადამიანებზე მეკითხებით? — ჩაჰყვიროდა ნაცარქექია ტელეფონის მილში, — ნულარ იკითხავთ მათ უდისციპლინობას!".

მაგრამ ადეიშვილი თვითონ აღმოჩნდა უდისციპლინო და უქნარა. გაზეთმა დამაჯერებელი ფაქტების ჩამოთვლის შემდეგ გაბედულად დააყენა კითხვა: რას გააკეთებს ასეთი „ხელმძღვანელი" შახტის სასარგებლოდ?

...ფელეტონის გამოქვეყნებისთანავე ატყდა ტელეფონების დაუსრულებელი წკარუნი, მითქმა-მოთქმა. თვით ადეიშვილის თხოვნით პარტიის ტყიბულის რაიკომმა გამოჰყო სპეციალური კომისია, დაიწყო ფელეტონში დასახელებული ფაქტების ძირფესვიანად შესწავლა, დაიწერა აქტები, მოხსენებითი ბარათი...

აღნიშნული კომისიის (თავმჯდომარე პარტიის რაიკომის მდივანი ლ. გოროგობიანი) მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ ნ. ადეიშვილმა მართლაც ყველას თვალწინ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ელექტრომექანიკური სახელოსნოს უფროსს ვ. კაზიონს.

დადასტურებულია, რომ ნ. ადეიშვილი თავის უფლება-მოვალეობას აჭარბებს, ლაყბობით ირთობს თავს, თვითონაც ცდება და სხვებსაც აცდენს...

დადასტურებულია, რომ ნ. ადეიშვილი რამდენჯერმე იყო პატიმრობაში სხვადასხვა დანაშაულისათვის. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის, რა არ დაუდასტურეს, რა არ დაიწერა გრძელ მოხსენებით ბარათში.

როგორც [illegible] ტყიბულის რაიკომმა განიხილა გამორკვევის შედეგები. ფელეტონში [illegible] ფაქტები ძირითადად დადასტურებულად ცნეს. რაიკომის ბიურომ უარი თქვა ნ. ადეიშვილის შახტის უფროსის მოადგილედ დამტკიცებაზე.

გავიდა დღეები... გაზეთის სიგნალის აბუჩად აგდება ველარ აიტანა „ტყიბულის მაღაროელის" რედაქტორმა ს. მერკვილაძემ. რაიკომში ერთ-ერთ სხდომაზე იგი აღელვებით ლაპარაკობდა:

— როგორც მოგეხსენებათ, სტალინის სახელობის შახტის უფროსის მოადგილემ ადეიშვილმა „სახელი გაითქვა" უქნარობითა და ლაყბობით. იგი აბუჩად იგდებს მეშახტეთა სამართლიან მოთხოვნებს. ფელეტონში „ნაცარქექია შახტის უფროსის მოადგილის სავარძელში" ჩვენ როდი შეგვეძლო გვეთქვა ყველაფერი, რითაც „შემკობილია" ჩვენი „გმირის მოღვაწეობა". ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველს ფ. ნაჭყებიას პარტიის რაიკომმა დაავალა მოეხსნა აღნიშნული თანამდებობიდან ადეიშვილი, მაგრამ...

რედაქტორი შეჩერდა, მხრები აიჩეჩა და დამსწრეთ გადახედა.

კაცი ვერ შეედავება ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველს ფ. ნაჭყებიას. თავის მხრივ ფელეტონს ისიც ოპერატიულად გამოეხმაურა, მიიღო „გადამჭრელი ზომები", რაც მთავარია ვალდებულების მოხდის მიზნით ქაღალდი აფრინა საქქვანახშირის კომბინატში.

„...ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ადეიშვილი დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებელია. ვინაიდან ადეიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნულია „საქქვანახშირის" კომბინატის ბრძანებით, ამიტომ გთხოვთ თქვენს განკარგულებას მისი განთავისუფლების შესახებ".

პარტიის ტყიბულის რაიკომის და „საქქვანახშირის" კომბინატის ხელმძღვანელები თვეობით ერთმანეთს შესცქერიან, ეთათბირებიან, ერიდებიან პირდაპირი სიტყვის თქმას.

ხოლო გათამამებული ნ. ადეიშვილი კვლავ ძველებურად განაგრძობს „მოღვაწეობას" შახტის უფროსის მოადგილის საპატიო თანამდებობაზე!

საკითხავია როდის დამთავრდება ამბავი ადეიშვილის ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტში „მოღვაწეობის" შესახებ.

**ა. გოცირიძე,**
**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „რატომ არა აქვს თბილისს ცნობათა ბიურო?"

ამ სათაურით „კომუნისტის" 11 მაისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო თბილისში ცნობათა ბიუროს გახსნის აუცილებლობა.

როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ბერიძე გვატყობინებს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დასმულია საკითხი ქალაქში ცნობათა ბიუროს დაარსების შესახებ.

## „გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი თივის აღებაში"

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომმა დადასტურებულად ცნო ფაქტები, რომლებიც მოყვანილი იყო „კომუნისტის" 22 ივნისის ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში „გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი თივის აღებაში".

კორესპონდენციაში მოყვანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტიის მცხეთის რაიკომის ბიურომ დასახა ქმედითი ღონისძიებანი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონში გათიბვის გეგმა 202.5 პროცენტით შესრულდა.

### სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები

# ოქუმი დღეს

მკრთალ ბურუსშია გახვეული მწვერვალები. გრიალით მოედინება ანარის მთიდან გადმომქუხარი დაუდეგარი მდინარე ოქუმი... მდინარის ნაპირას ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული ოქუმელთა ყანები. მიჰყვებით სუბტროპიკულ მცენარეთა ხეივანში მიმავალ ფართო საავტომობილო გზას, გასცქერით მიდამოებს. გულსახარებს კოლმეურნეობის ჩაის ხავერდოვანი ბუჩქები, ციტრუსების თვალწარმტაცი ბაღნარი, სიმინდის ნათესები. კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდ გადაქცეულა ნადირთა უწინდელი თავშესაფარი.

ოქუმი მდიდარი, თვალწარმტაცი სოფელია. ოქუმელთა კოლმეურნეობა ღირსეულად ატარებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის სახელს.

— ორასი ჰექტარი ჩაი, სამასი ჰექტარი სიმინდი, ასოცდაათი ჰექტარი ტუნგოს პლანტაცია, სამოცდასამი ჰექტარი ციტრუსების ბაღი, ოცდათვრამეტი ჰექტარი ხეხილის ბაღი, სამოცდაათი ჰექტარი ბუნებრივი საძოვრები, ოთხასამდე ჰექტარი თამბაქო, ბამბუკი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები — ასეთია ამ მილიონერი კოლმეურნეობის სიმდიდრე.

აქ ყოველ წელიწადს მოჰყავთ ჩაის, ციტრუსების, სიმინდის, ტუნგოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბარაქიანი მოსავალი, განუწყვეტლივ იზრდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

აი რამდენიმე საყურადღებო ციფრი: 1936 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 1.012.977 მანეთი იყო, ხოლო 1953 წელს—8.527.707 მანეთი. კოლმეურნეებს შარშანდელ გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე ერგოთ ფულად 30 მანეთზე მეტი და 2 კილოგრამზე მეტი მარცვლეული.

რასაც დღეს მიაღწია კალისტრატე ბულისკერიას ოჯახმა, იმაზე ძველად აქ, ამავე სოფელში, გლეხებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ. მათ ბედნიერებაზე მეტყველებს ყველაფერი, მათი კარმიდამოს თვითეული კუთხეც კი. შარშან კალისტრატეს ოჯახმა 1.371 შრომადღე გამოიმუშავა და ფულად 42.809 მანეთი და ნატურით 3.350 კილოგრამი მარცვლეული მიიღო. ამ შემოსავალში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი სოციალისტური შრომის გმირებს—მის ცოლს ლუბას და დას იმენას. ერთი ოჯახიდან ყოველდღე სამი სოციალისტური შრომის გმირი უთენია მიდის საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ. ისინი ერთად არიან ჩაის პლანტაციებში. ლუბასა და იმენას ერთიმეორის გვერდით აქვთ ჩაის ნაკვეთი, ერთნაირი მზრუნველობით უვლიან ჩაის თვითეულ ბუჩქს. ამ ლაღი ბუნების წიაღში იფურჩქნება მათი შემოქმედებითი შრომა... ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 40-50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი — ასეთია თვითეული მათგანის საწარმოო მაჩვენებელი.

რა ბედნიერია კალისტრატეს ოჯახი! სულ მალე ოქუმის მილიონერი კოლმეურნეობიდან მოსკოვს ერთი ოჯახიდან გაემგზავრება სამი გმირი. ისინი მოსკოვში მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. მოსკოვში გამოფენის პავილიონში ნახავენ ჩაის პლანტაციით წარმოდგენილ თავის მილიონერ კოლმეურნეობას. რამდენ რამეს ისწავლიან, რა დიდ გამოცდილებას მიიღებენ ისინი გამოფენაზე!

ოქუმში აღიზარდა და დავაჟკაცდა სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი ჩოქოლი ქვაჩახია. პატიოსანი, თავდადებული შრომით იგი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი გახდა.

აი საიდან დაგროვდა ის დოვლათი, დღეს რომ ახარებს ქვაჩახიას ოჯახს, რომელიც ძველად ფაცხაში იყო გამომწყვდეული. ახლა ჩოქოლი სახლობს მდინარე ოქუმის ნაპირად, ლამაზად ამწვანებულ ეზოში. ნახვისთანავე იქცევს ყურადღებას აივნიანი შესანიშნავი ოდა, რომელიც წარმტაც ხეობას გალაჰყურებს. ოთახები მორთულია ქალაქური ავეჯით. ნახვისთანავე იგრძნობთ, რომ აქ ცხოვრობს შეძლებული კოლმეურნე, რომელმაც საკოლმეურნეო შრომით შექმნა მთელი ეს სიმდიდრე.

საკოლმეურნეო შრომით აღფრთოვანებული არიან მოხუცებიც. აი თედო შამათავა. იგი 80 წლისაა, მაგრამ, მიუხედავად მოხუცებულობისა, უდიდესი ხალისით მუშაობს კოლმეურნეობაში. მან სანიმუშოდ მოაწყო თავისი ოჯახი. აიშენა ოდა, შეიძინა საოჯახო ნივთები, ცხოვრობს შეძლებულად და კულტურულად. შარშან თედომ მოსავლელად მიჩენილ ჰექტარზე 500 ფუთი სიმინდი მოიყვანა. მისი შვილი ჯუგუ მეთორმეტე ბრიგადას ხელმძღვანელობს და ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირია კოლმეურნეობაში. თედოს ცოლი, მიუხედავად მოხუცებულობისა, ცოცხალი ენერგიით, სიყვარულით მუშაობს კოლმეურნეობაში.

აპრილი იწურებოდა, როცა ოქუმის კოლმეურნეობაში შერჩევით დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. დადგა მაისი. სოფელი სიხარულმა მოიცვა, გახალისდა დიდი და პატარა. მკრეფავებმა დაიხურეს თავიანთი ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდები, მოიმარჯვეს კალათები და კრეფდნენ ახლად შემოსულ ფოთოლს. პლანტაციებში სიცოცხლე დამკვიდრდა. ამუშავდნენ მანქანები, ამოქმედდნენ ჩაის ფაბრიკები. კოლმეურნეთა აღტაცებას იწვევდა მოზღვავებული ფოთოლი. მათ ბრძოლა ჩაის ფრონტზე წარმატებით დააგვირგვინეს. წელს მაისის გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. წარმატებით მუშაობენ ახლაც.

ვინ არ იცნობს სოციალისტური შრომის გმირს ნათელა ბულისკერიას. საინტერესოა მისი მუშაობა. სხვისი ხელი არ გაჰკარებია მისთვის მოსავლელად მიჩენილ ჩაის ფართობს. ვათვალიერებთ პლანტაციებს, ადამიანის ხელს ჩუქურთმებისათვის რომ დაუმსგავსებია. კორდებზე გაჰყურებ მწვანე ბუჩქების გრძელ სწორ ხაზებს და გრძნობ, რომ ამ კორდებისათვის მშვენიერი ქოჩორი თავისი საქმის ნამდვილ ოსტატს მოუქარგავს! შემკობილი ბუნებაც ხელს უწყობს ხალისიან შრომას.

— შარშან ჰექტარზე 14.204 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მივიღე, წელს კი 16 ათასი კილოგრამი ფოთლისათვის ვიბრძვი, — ამბობს ნ. ბულისკერია.

ნათელა ბულისკერია წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი დიადი სამშობლოს გულში — მოსკოვში მიემგზავრება. ამ სასიხარულო ამბით აღფრთოვანებული ნათელა მეტი ენერგიით მუშაობს.

მაისის მეორე ნახევარში კოლმეურნეთა საერთო კრება იყო მოწვეული. კრებაზე კოლმეურნეები უნდა გაცნობოდნენ იმ საწარმოო მაჩვენებლებს, რითაც ოქუმელები მიდიან სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

რით შევხვდე ამ კრებას? ამაზე ფიქრობდა ჩაის ფოთლის ახალგაზრდა მკრეფავი ნ. ბულისკერია. მან გადაწყვიტა იმ დღეს კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის მაღალი მაჩვენებლისათვის მიეღწია. უთენია გავიდა პლანტაციაში, დაიწყო კრეფა, კრეფდა ორივე ხელით. გასაოცარი ძალა და სისწრაფე ჩაუდგა მკლავებში.

საღამოს, მზის ჩასვლის წინ, ნათელამ თავი აიღო და ნამუშევარს გადახედა. მოუთმენლად ელოდა მუშაობის შედეგს... მოკრეფილი ფოთოლი აწონეს.

— 130 კილოგრამი მოგიკრეფია, ნათელა! — ახარეს მას.

— ხარისხი?

— საუკეთესო!

და როცა თავმჯდომარე კოლმეურნეთა საერთო კრებას ხსნიდა, ნათელამ კარი შეაღო. ყველამ მისკენ მიიხედა. მის სახეს სიხარული ეტყობოდა — ნათელას გამარჯვების ცნობა ადრე მიეღოთ კოლმეურნეობაში.

— ამხანაგებო! გაცნობებთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მკრეფავმა ნ. ბულისკერიამ დღეს, ჩვენი კრების წინ, დაამყარა ჩაის კრეფის რეკორდი!

ნათელამ სიტყვა ითხოვა. თავისი მუშაობის გამოცდილებაზე უამბო კოლმეურნეებს და მას შემდეგ ტემპი არ შეუნელებია. ნათელა ჩაის სარეკორდო მოსავალს მიიღებს წელსაც. ამას გვამცნობს მისი მჩქეფარე მუშაობა პლანტაციებში.

ახლა ოქუმში 9 სოციალისტური შრომის გმირი, 28 ლენინის ორდენოსანი, 9 შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და 150-მდე მედალოსანი კოლმეურნეა. ესენი კოლმეურნეობის სიამაყენი არიან. კოლმეურნეობის გამგეობა პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობათა აგრონომიულ და ზოოტექნიკურ განათლებას. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. ჯონჯუა) სისტემატურად ამოწმებს პარტიულ კრებებზე მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებას. კოლმეურნეობაში მომუშავე ყველა კომუნისტი სტახანოველია.

— კოლმეურნეთა აღტაცებას იწვევს წლევანდელი ჩაის ფოთლის პლანტაცია, — ამბობს საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. გეთია. — წელს ფოთლის დიდი მოსავალია. ისე მოვაწყობთ შრომას, რომ ჰექტარზე საშუალოდ უზრუნველვყოთ 5 ათასი კილოგრამი ფოთლის მიღება, ხოლო 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 350 ფუთ სიმინდს, ზოგან კი—ჰექტარზე 1.000 ფუთს.

აქ ყველაფერი საამურია, ხალისიანი და ამიტომაც არიან აქაური კოლმეურნე გლეხები ასე თვალგახარწყინებული და გახარებული. ყველას აქვს კეთილმოწყობილი ბინა. ჰყავს ძროხა, ღორი, შინაური ფრინველი.

საკოლმეურნეო წყობილებამ სოფელს ძირფესვიანად შეუცვალა სახე. სოციალისტური სოფელი ამაყობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით. ოქუმი პატარა ბაღ-ქალაქია. მას აქვს თავისი ცენტრი, მთავარი ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია დეკორაციული ნარგავები, გაშენებულია ბაღი, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ფართობი უჭირავს. იგი წარმოადგენს ერთ მთლიან თაიგულს, რომლის ცენტრში დგას გენიალური ლენინის ძეგლი. მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებულ სახლებს შორის გამოირჩევა კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა — აქ მთელი დაწესებულებაა მოთავსებული. იმ მხარეზე, სადაც კანტორის აივანი გამოდის მთავარ ქუჩაზე, მწვანე ბაღნარში, ცოცხალი წითელი ყვავილებისაგან გაკეთებულ ვარსკვლავს გადმოსცქერის დიდი სტალინის მონუმენტი. კოლმეურნეები ახლა ამ კანტორის შენობით არ კმაყოფილდებიან. წელს გათვალისწინებული აქვთააგონ ორსართულიანი შენობა, რომელშიც 19 ოთახი იქნება. სოფელს აქვს ორი დაწყებითი და საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საავადმყოფო, ამბულატორია, აფთიაქი, ბაგები, სასტუმრო, აგურის ქარხანა, სახერხი ქარხანა, სასადილო, კოოპერატივი, სამკერვალო, სადურგლო სახელოსნო, სამჭედლო, საპარიკმახერო, სასპორტო მოედნები...

1940 წელს მდინარე ოქუმზე აამუშავეს საკოლმეურნეო ელსადგური. ელექტროენერგიით გაჩირაღდნებულია ოქუმი. კოლმეურნეებმა ელექტრონით გაინათეს თავიანთი ბინები და ეზოები. ოჯახებში აქვთ რადიო. ასეთია დღევანდელი ოქუმის კულტურული სახე. ასე საამურია ჩვენი დღე, ასე ბედნიერია ჩვენი სოფელი. ამ ბედნიერი დღისა და აყვავებული სოფლის დოვლათისა და მიღწევების საჩვენებლად მიდის გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

**შ. ჟოჟუა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.
გალის რაიონი, სოფელი ოქუმი.

# საბჭოთა სამხედრო ხომალდები სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 17 ივლისი. (საქდესი). [illegible]

[illegible] — რომ საბჭოთა ხომალდების ვიზიტების გაცვლა გულწრფელი დემონსტრაციაა ორი მეზობელი ქვეყნის მისწრაფებისა მშვიდობიანად იცხოვრონ და ითანამშრომლონ.

შვეცია და საბჭოთა კავშირი ორი ქვეყანაა, რომლებიც ფლობენ ბალტიის ზღვის სანაპიროს ყველაზე დიდ უბანს და, საერთო ინტერესები აქვთ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში... შვედი ხალხის დიდი უმრავლესობა მიესალმება ორივე ხალხის დაახლოების ნაბიჯს, რომლის მანიფესტაციაა ლენინგრადსა და სტოკჰოლმში სამხედრო ხომალდების ჩასვლა.

შვეციის მშვიდობისმოყვარე ხალხს ეს ვიზიტები მიაჩნია აგრეთვე იმის ერთ-ერთ დადასტურებად, რომ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიური სისტემების ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთთან მშვიდობიანად იცხოვრონ".

გაზეთები ათავსებენ ცნობებს შვეციის ხომალდების ყოფნის შესახებ ლენინგრადში.

„შვედ მეზღვაურებს ამაღელვებელი რუსული გულითადობით შეხვდნენ". — წერს სათაურში გაზეთი „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი".

სტოკჰოლმი, 18 ივლისი. (საქდესი). გუშინ სტოკჰოლმში მყოფი საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის საბჭოთა მეზღვაურებმა ავტობუსებით ექსკურსია მოაწყეს ქალაქში და კატერებით იმოგზაურეს მრავალ სრუტეში, რომლებიც სტოკჰოლმს კვეთენ, იყვნენ სამხედრო-საზღვაო მუზეუმში, კინოში, ქალაქ ვესტეროსის ელექტროტექნიკური აპარატების ქარხანა „ასეაში".

ნაშუადღევს შვეციის სანაპირო დაცვის ფლოტის მეორე ესკადრის სარდალმა დარბაზობა გამართა საბჭოთა ხომალდების რაზმის ოფიცრებისა და ზემდეგებისათვის. უფრო გვიან ამ ესკადრის ხომალდებზე გაიმართა აგრეთვე სადილი საბჭოთა მეზღვაურების პატივსაცემად. ოფიცერთა შემადგენლობას სადილი გაუმართა შვეციის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო-საზღვაო ოლქის სარდალმა.

ნაშუადღევამდე კრეისერ „ადმირალ უშაკოვზე" იყვნენ შვეციის სხვადასხვა საზოგადოებრივი, პროფკავშირული, კულტურული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავიანთი აღტაცება სამხედრო ხომალდებით, მისალმება და წარმატებათა სურვილები საბჭოთა მეზღვაურებისადმი მათ დატოვეს კრეისერ „ადმირალ უშაკოვის" „მნახველთა შთაბეჭდილებების წიგნში". განსაკუთრებული ადგილი უკავია მშვიდობის შენარჩუნებისა და შვეციისა [illegible]

[illegible] დაიწყო ხალხის შემვება საბჭოთა ხომალდებზე, რომლებიც სტოკჰოლმს ჩამოვიდნენ თავაზიანობის ვიზიტით. საბჭოთა ხომალდები დაათვალიერა დედაქალაქის დაახლოებით 2 ათასმა მცხოვრებმა.

ნაშუადღევს ქალაქის პარკ „სკანსენში" გაიმართა საბჭოთა კრეისერ „ადმირალ უშაკოვის" სასულე ორკესტრის კონცერტი. მიუხედავად წვიმისა, კონცერტს სტოკჰოლმის მრავალი მცხოვრები დაესწრო. კონცერტს მსმენელები გულთბილად შეხვდნენ.

ორკესტრის გამოსვლის შემდეგ დაიწყო საბჭოთა მეზღვაურების მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. საბჭოთა მეზღვაურებს მიესალმა „შვეცია-სსრ კავშირის" საზოგადოების გამგეობის წევრი რიქსდაგის დეპუტატი გეორგ ბრანტინგი.

ბრანტინგმა რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და შვეციის ხომალდების ვიზიტების გაცვლა ხელს შეუწყობს შვეციისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. დამსწრეთა ტაშის გრიალში ბრანტინგმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას!".

კონცერტის დასაწყისში, რომელიც მოაწყო „შვეცია-სსრ კავშირის" საზოგადოებამ, პარკ „სკანსენის" სახალხო ცეკვის ანსამბლმა ცნობილი შვედი მომღერალი ქალის ჰელგა ერლინის მონაწილეობით შეასრულა ხალხური ცეკვები.

ამის შემდეგ დაიწყო საბჭოთა მეზღვაურების გამოსვლა. საბჭოთა ხომალდების რაზმის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა შეასრულეს მთელი რიგი რუსული ხალხური და თანამედროვე საბჭოთა სიმღერები, საზღვაო სიმღერები. მხატვრული თვითმოქმედების მოცეკვავეთა ჯგუფმა შეასრულა საზღვაო ცეკვა. კონცერტის ყოველი ნომერი მქუხარე ტაშს იწვევდა. მიუხედავად წვიმისა, მაყურებლებით გაივსო არა მარტო ყველა ადგილი ესტრადის წინ, არამედ მთელი თავისუფალი ტერიტორიაც იმ მოედნის წინ, სადაც ესტრადაა.

კონცერტის დასასრულს ტაშის გრიალში საბჭოთა მეზღვაურებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

კონცერტს დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი შვეციაში კ. კ. როდიონოვი, საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის სარდლობა კონტრ-ადმირალ ვ. თ. კოტოვის მეთაურობით, შვეციის აღმოსავლეთი სამხედრო-საზღვაო ოლქის სარდალი ანდერბერგი და სხვები.

# ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტირანა, 17 ივლისი. (საქდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგ ცნობას:

1954 წლის 12 ივლისს გაიმართა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა პოლიტბიუროს მოხსენება პარტიის განმტკიცებისა და პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ენვერ ხოჯამ.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ამხ. ენვერ ხოჯას მოხსენება როგორც დირექტივა მთელი პარტიისათვის.

პლენუმმა გააუქმა პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა და ამხ. ენვერ ხოჯა აირჩია ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

პლენუმმა გაათავისუფლა ცენტრალური კომიტეტის მდივნების მოვალეობისაგან ბაჰუშ მუფტიუ და იოსებ პაშკო მთავრობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია ამხ. გოგო ნუში და ლირი ბელიშოვა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც შეეხება პარტიისა და სახელმწიფოს მუშაობის განმტკიცებას.

# ჩინეთის ტერიტორიაზე გომინდანელთა თვითმფრინავები ჩამოაგდეს

პეკინი, 17 ივლისი. (საქდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

უკანასკნელ ორ კვირაში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახმელეთო და საჰაერო ნაწილებმა, რომლებიც განლაგებული არიან ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით, ჩამოაგდეს და დააზიანეს ჩანკაიშელთა ამერიკული 5 თვითმფრინავი.

6 ივლისს დილაადრიანად ერთმა საავიაციო ქვედანაყოფმა ჩამოაგდო 2 ავიაგამანადგურებელი და დააზიანა კიდევ ორი თვითმფრინავი, რომელნიც შეიჭრნენ ჩინეთის ფარგლებში ჯეძიანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში. ორი ჩამოგდებული თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა სიანშანის მაზრის აღმოსავლეთ სანაპიროსთან.

3 ივლისს დილით ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა, რომელნიც ამოიში იმყოფებიან, დააზიანეს შეჭრილი ჩანკაიშელთა ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი.

# წყალდიდობის გამო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 17 ივლისი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის მოადგილეს გერმანიაში, საქმეთა დროებით რწმუნებულს ბ. პ. მიროშნიჩენკოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით და მოსახლეობის სახელით მადლობას უძღვნის ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში ძმური დახმარებისათვის.

წერილი აგრეთვე შეიცავს თხოვნას გადაეცეს საბჭოთა მთავრობას მადლობა, აგრეთვე პირობას, რომ ურღვევია კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

# ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საქდესი). ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს ცნობით, სამრეწველო წარმოების ინდექსი ივნისში 12 პუნქტით დაბალი იყო 1953 წლის ივნისის დონეზე.

ვაჭრობის სამინისტროს სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ შემცირდა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი და მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტი.

# საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 18 ივლისი. (საქდესი). [illegible]

# ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 18 ივლისი. (საქდესი). [illegible] მანძილზე.

როგორც ცნობილი გახდა, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა, როგორც სხდომის თავმჯდომარემ, შეაფასა თათბირის მუშაობის განვლილი პერიოდისა და იმის მნიშვნელობა, რაც გააკეთეს მინისტრებმა მოადგილეებმა, და აღნიშნა, რომ ამ პერიოდში მცირე მნიშვნელობის შედეგები როდია მიღწეული. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, აღნიშნა რა, რომ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთდა და აღარ დარჩა ძნელი საკითხები, განაცხადა, რომ არ შეიძლება არ ვაღიაროთ იმის ობიექტური მნიშვნელობა, რაც უკვე მიღწეულია ამ ხნის მანძილზე.

უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა დელეგაციის აზრით, განსაზღვრულია ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის ყველაზე რთული პრობლემის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა. მხედველობაშია ის მოლაპარაკება, რომელმაც ამ ბოლო დროს გამოიწვია ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის საკითხის გადაჭრის ისეთი საფუძვლის აღიარება, რაც შესაძლებელს ხდის დაინტერესებული მხარეების შეთანხმებას. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ თათბირის ყველა მონაწილე ჯეროვან დადებით მნიშვნელობას ანიჭებს ამას.

ამასთან ერთად როგორც იუწყებიან, საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა: დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიღწეულ იქნას შესაბამისი შეთანხმება ლაოსსა და კამბოჯაში მშვიდობის აღდგენის შესახებ. ამასთან ერთად საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ თუმცა ამ მხრივ, შესაძლებელია, ჯერ ყველაფერი არ გაკეთებულა, მაგრამ არ არის საფუძველი ეჭვი ვიქონიოთ, რომ დაინტერესებული მხარეები დაადგნენ შეთანხმების მიღწევის გზას.

არსებული ცნობებით, საბჭოთა დელეგაციამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ დელეგაციების წევრთა შეხვედრებმა და კერძო საუბრებმა, რაც უკანასკნელ ხანს მოეწყო, სასარგებლო როლი შეასრულეს, და ამასთან რწმენა გამოთქვა, რომ ეს შეხვედრები და საუბრები სახავდნენ [illegible] ლი ნება გამოიჩინონ ამ შეთანხმების იმ პუნქტების შესათანხმებლად, რომლებზეც ჯერ არ არის მიღწეული საჭირო შეთანხმება. თათბირს აქვს აგრეთვე ჟენევის თათბირის დეკლარაციის ორი პროექტი, რომლებიც, უმთავრესად, მიძღვნილია დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხებისადმი. იგულისხმება, მასალებია აგრეთვე ის, რომ წარმოდგენილ იქნება შესაბამის განცხადებათა პროექტები, რომლებიც ლაოსსა და კამბოჯას შეეხებიან. ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის საერთაშორისო კონტროლის საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ახლა ამ საკითხზე წარმოდგენილია ორი პროექტი, რომელთა შეთანხმება დიდ დროს არ მოითხოვს.

ზემოთ ნათქვამი, საბჭოთა დელეგაციის აზრით, საერთო წარმოდგენას ქმნის იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ახლა არის ჟენევის თათბირზე.

საბჭოთა დელეგაციის მიერ მოცემული საერთო შეფასება იმ მუშაობისა, რაც თათბირმა უკანასკნელ თვეში გასწია, დიდი ყურადღებით მოისმინეს თათბირის მონაწილეებმა.

როგორც იუწყებიან, ბაოდაელთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობის ახალ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, მის დელეგაციას სურს ღია პლენარულ სხდომაზე თავისი თვალსაზრისი გამოთქვას თათბირზე წარმოდგენილი შეთანხმების პროექტთა გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბ. სმიტმა თავის განცხადებაში გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პოზიცია, და, კერძოდ, აღნიშნა, რომ თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მოიწონებენ ამერიკის შეერთებული შტატები გააკეთებენ ცალმხრივ განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი თავს შეიკავებენ ამ შეთანხმების დასარღვევად ძალის გამოყენებისაგან ან ძალის გამოყენებას მუქარისაგან.

# ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა პ. მენდეს-ფრანსთან

ჟენევა, 18 ივლისი. (საქდესი). დღეს ცხრა დელეგაციის წარმომადგენელთა სხდომის დაწყებამდე, ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ჟენევის თათბირზე საფრანგეთის დელეგაციის მეთაურთან პ. მენდეს-ფრანსთან.

# მენდეს-ფრანსის განცხადება

პარიზი, 18 ივლისი. (საქდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა ჟენევიდან რადიოთი მიმართა საფრანგეთს თავისი მორიგი ყოველკვირეული სიტყვით. მისი სიტყვა მთლიანად მიეძღვნა ჟენევის თათბირის მუშაობას და იმას, რომ შესაძლებელია შეთანხმება მიღწეულ იქნას 20 ივლისისათვის.

მენდეს-ფრანსმა რწმენა გამოთქვა, რომ დანიშნული ვადისათვის შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. „თავიდანვე, — თქვა მან, — დარწმუნებული ვიყავი, რომ არ არის არავითარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდეს სწრაფ შეთანხმებას ჩვენს მოწინააღმდეგესთან საპატიო მოწესრიგების შესახებ. დღეს ამდენი შეხვედრისა და სამუშაო სხდომების შემდეგ კიდევ უფრო მეტად მწამს ეს. არაფერი, რაც ახლა გვთიშავს, არ არის არც შავბნელი, არც დაუძლეველი".

# ბედელ სმითი ჟენევაში ჩავიდა

ჟენევა, 17 ივლისი. (საქდესი). დღეს ჟენევაში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბედელ სმითი.

# წყალდიდობა უნგრეთში

ბუდაპეშტი. 18 ივლისი. (საქდესი). წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრობის კომიტეტი იუწყება, რომ გენიუს რაიონში წყლის დონემ დუნაიში გუშინ 20 საათზე 774 სანტიმეტრს მიაღწია. ეს 39 სანტიმეტრით აღემატება ყველაზე მაღალ დონეს, რომელიც კი აქ ყოფილა. ბუდაპეშტში იყო 793 სანტიმეტრი, ხოლო დღეს 8 მეტრია.

მთავრობის კომიტეტი იუწყება, რომ წყალი კლებულობს. მაგრამ წყალდიდობის საფრთხე თავიდან აცილებული არ არის. ყველა უბანში წარმოებს დაცვის სამუშაოები. შენდება და მაგრდება ჯებირები, უნგრეთის სხვადასხვა კუთხიდან კვების მრეწველობის საწარმოები პროდუქტებს უგზავნიან წყლით დაფარული რაიონებიდან გახიზნულ მოსახლეობას.

როგორც გაზეთები იუწყებიან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სთხოვა საბჭოთა სამხედრო სარდლობას გამოეჰყოს დასახმარებლად საბჭოთა არმიის ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან უნგრეთში. საბჭოთა სამხედრო სარდლობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა უნგრეთის მთავრობის თხოვნას და საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომლებიც აღჭურვილი არიან საჭირო ტექნიკური საშუალებებით, უკვე აქტიურად ებრძვიან წყალდიდობას დუნაის სხვადასხვა უბანზე. გაზეთები აღნიშნავენ, თუ რა თავდადებას იჩენენ საბჭოთა მეომრები ამ მუშაობაში.

# საბჭოთა ფეხბურთელები ავსტრიაში

ვენა, 18 ივლისი. (საქდესი). ვენაში ავსტრიის ფეხბურთელებთან შესახვედრად ჩამოვიდა „დინამოს" გუნდი (მოსკოვი). საბჭოთა ფეხბურთელები 20 ივლისს შეხვდებიან „რაპიდის" კლუბის სპორტსმენებს და 24 ივლისს „ავსტრიის" გუნდს. ეს ორი გუნდი ავსტრიის უძლიერესი პროფესიული კოლექტივებია. უკანასკნელ წლებში მათ არაერთხელ მოუპოვებიათ ავსტრიის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში. ამ კლუბების მოთამაშეთაგან იყო შედგენილი ძირითადად ავსტრიის ეროვნული ნაკრები გუნდი, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა.

ავსტრიის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა გუნდთან შეხვედრებისადმი.

გაზეთები აქვეყნებენ „დინამოს" გუნდის სპორტული გზისადმი მიძღვნილ სტატიებს, მასალებს საბჭოთა ფეხბურთელების საერთაშორისო შეხვედრების შესახებ, მოთამაშეთა ფოტოსურათებს და სხვ.

ყურადღება

400-დან 100.000-მდე მანეთის მოგება შეიძლება სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით

1954 წლის 30 ივლისს

ქალაქ კიევში

შედგება სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი მე-40 ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება 27.901.200 მანეთის 51.000 მოგება, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად ეწყობა ამ სესხის 6 ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი—30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების და ქალთა კონსულტაციის თანამშრომლები იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **გაბრიელ გრიგოლის-ძე ლამბარაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ბაბიტო, შვილები ქანა ქაშაკაშვილი, ვივი სულავა, და მარიამ, ძმები პლატონ, პოლიაქტო ოჯახებით, სიძე ვანო ფოფხაძე იუწყებიან **ვალერიან ხარდიონის-ძე ქაშაკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. აკ. წერეთლის ქ. № 18, გამოსვენება 22-VII, 6 ს. კონსერვატორიის მცირე დარბაზიდან.





## ბათუმის პიონერთა პარკი

ჩვენი ქვეყნის მოსწავლეახალგაზრდობისათვის ყველა პირობაა შექმნილი არდადეგების პერიოდში ჯანსაღი დასვენებისათვის. მათთვის გახსნილია პიონერთა ბანაკები, საბავშვო სანატორიუმები, დასასვენებელი დაწესებულებანი.

ბათუმელ პიონერებს შესანიშნავი პარკი აქვთ. აქ პიონერები ისვენებენ, მუშაობენ მრავალ წრეში, დადიან ექსკურსიებზე. მაგრამ ყველაზე საინტერესოა პარკში მომუშავე გემი „პიონერი".

გემს ემსახურება 20-მდე პიონერი. გემის კაპიტანია ბათუმის მე-2 ვაჟთა სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე თენგიზ ოსიპაშვილი, გემით სეირნობენ და ხალისიანად ერთობიან პარკში დამსვენებელი პიონერები.

**სურათებზე:** (ზევით, მარჯვნივ) გემის კაპიტანი თენგიზ ოსიპაშვილი დავალებას აძლევს გემის მესაჭეს ვალერი კარიაკინს. (ქვევით) მეზღვაური გიორგი მედვედევი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# ფიზკულტურელის საკავშირო დღე თბილისში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე. 18 ივლისს ქალაქის ბაღებსა და პარკებში, სასპორტო მოედნებსა და სტადიონებზე, საცურაო აუზებში და წყალჯომარდობის სადგურებზე გაიმართა შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, შედგა ლექციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, გაიმართა მასობრივი სეირნობანი.

თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო ქალაქის მძლეოსანთა საჩვენებელი გამოსვლები, გაიმართა ფეხბურთის მატჩები. ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში მიმდინარეობდა შეჯიბრება ცურვაში, გაიხსნა საქართველოს პირველობის გათამაშება წყალბურთში მოსწავლეთა შორის.

სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში, აგრეთვე თბილისის ბაღებში შედგა ამხანაგური მატჩები კალათბურთსა და ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

„თბილისის ზღვაზე" და მცხეთის წყალჯომარდობის სადგურში გაიმართა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში, იალქნიანი ნავების მართვაში, აქვე მოეწყო შეხვედრები ცურვაში, სეირნობა მოტორიანი ნავებით, ბაიდარებით.

40-მდე ტურისტმა მიიღო მონაწილეობა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ ლაშქრობაში მარშრუტით — თბილისი-საგურამო-მცხეთა-„თბილისის ზღვა"-თბილისი.

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, 18 ივლისს, გახსნეს თავიანთი სპარტაკიადა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სპორტსმენებმა. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სასპორტო ბაზაზე შედგა საჩვენებელი შეჯიბრება ცურვაში, ამხანაგური შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში.

# ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში

მინსკი, 19 ივლისი. (საქდესი). გუშინ აქ გაიმართა „ა" კლასის გუნდების მორიგი შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში. მინსკის სპარტაკელები ეთამაშნენ საზოგადოება „ტორპედოს" მოსკოვის ფეხბურთელებს.

გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 3 : 2.

# ჩემპიონები ფრენბურთში

ფოთში ხუთ დღეს გრძელდებოდა უძლიერესთა ასპარეზობა ფრენბურთში საქართველოს პირველობაზე.

ქალთა გუნდებს შორის თავიდანვე დაწინაურდა თბილისის „ნაუკის" გუნდი, რომელმაც პირველობის გათამაშება დაუმარცხებლად ჩაატარა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ვაჟთა გუნდებს შორის გაიმარჯვა თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრენბურთელთა კოლექტივმა.

# ავტოგადარბენა

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მრავალი საინტერესო ასპარეზობა მიუძღვნეს „დინამოს" სპორტსმენებმა. ზეიმის წინა დღით ძერჟინსკის სახელობის პარკში შედგა ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი დიდი საღამო.

18 ივლისს დილით დინამოელი სპორტსმენები 14 მანქანით გაემართნენ გორისაკენ. მათ მოაწყეს ავტოგადარბენა მარშრუტით — თბილისი-გორი-თბილისი. სპორტსმენებმა დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, გამართეს ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, ჭადრაკში.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე უშვებს ახალ მხატვრულ ფილმს

„კარლ შვალკის შეცდომა"

სცენარი პ. ვინსისა, რეჟისორი — მარტინ გელბერგი, ოპერატორი — ვ. ბერგმანი, მუსიკა ფ. შტეინმანისა. ხმის ოპერატორი — კ. ტრამბურგი, მხატვარი — ა. კლემენტიევი.

როლებს ასრულებენ: ს. დიულმანი, ვ. ორტმანი, გ. ვერლი, გ. ბიუტნერი, პ. პფინგსტი, რ. შრედერი, რ. კუბიჩეკი, ო. კერნერი, რ. ფლეკი.

„დეფას" კინოსტუდიის 1953 წლის ნაწარმოები.

დედა მანანა, დეიდა ნატაშა, ბიძაშვილები ნუნუ, გულჩინა, მაყვალა, იზოლდა, უშანგი, შოთა, შალვა, თენგიზ კანაშვილები, დეიდაშვილები გიორგი, ოთარ ოჯახებით იუწყებიან **ციცინო ვალერიანის ასულ ქათამაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6½ ს. ხოშტარიას ქ. № 30.

დედა ელენე, მეუღლე თამარ, შვილი იური, დები ანიკო, მარგარიტა, ძმა სურენ, სიძე ვლადიმერ ნავროზაშვილი იუწყებიან **ლევან იაკობის-ძე ხაჩოევის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 5 ს. ახოსპირელის მე-3 ჩიხი № 3.

შვილი ვალენტინა, რძალი ლევკადია ოქუაშვილი, შვილიშვილები რამაზ, დალი, და ვარა დავლაშერიძე, დისწულები ვალიკო და თამარ ნონიკაშვილები ოჯახებით, თინა და გოგი ლებანიძეები იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ დავლაშერიძე-რამაზაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ჩქეფის ქ. № 5.

დეიდა სოფიო, ბიძა გიორგი, დეიდაშვილები ქეთო, მერი, მიშა, საშა კალატოზიშვილები, რძალი ვალენტინა, სიძე გიორგი სალირაშვილი, თამარ მონავარდისაშვილი იუწყებიან **ციცინო ვალერიანის ასულ ქათამაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VII, 6½ ს. ხოშტარიას ქ. № 30.

ალექსანდრე, იპოლიტე ჩხეტიები შვილებით; მიხეილ, ვახტანგ, ნიკოლოზ, თინა, რევაზ, არჩილ, რძლებით: ქეთევან, ელიკო, ელენე, ნანა, სიძით ნოე შონიათი იუწყებიან სიძის **ანდრი მიხეილის-ძე შელიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილები რევაზ, ჯუმბერ, რძალი ნელი, შვილიშვილები ნატო, დიმიტრი, და ნინო, ძმები აკაკი, ზაქრო ინწკირველები ოჯახებით იუწყებიან **ისიდორე ანანესძე ინწკირველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII, 6 ს. ქ. ბათუმში. გამოსვენება ხულოს ქ. № 23.

ცეკავშირის რესპუბლიკური უნივერსალური სავაჭრო ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მიხეილ ანტონის-ძე შავდიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII ქ. ქუთაისში, გამოსვენება გელათის ქ. № 22.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **ლიზა მალხაზის ასულ ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები კატო, ფედოსი, ლიზა, ალექსანდრე, რძალი გალინა ჩხეიძე, სიძე სეფე ბერძენიშვილი, შვილიშვილი მაყვალა მეგრელიშვილი იუწყებიან **კესარია ლაზარეს ასულ კალანდაძე-მეგრელიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ბინიდან ლენინის ქ. № 1.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3 16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

უე 04639

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.